

სტატისტიკური ანგარიში 2017 წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოსული და განხილული საქმეების რაოდენობის შესახებ

2017 წელს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სულ შემოვიდა 3707 საჩივარი, განცხადება, შეამდგომლობა და განსჯადობის საქმე. მათ შორის 870 - სისხლის სამართლის საქმეზე (სულ შემოსული საქმეების 23,5%), 1622 – სამოქალაქო საქმეზე (43,7%), 1215 – ადმინისტრაციულ საქმეზე (32,8%).

2016 წელთან შედარებით სულ შემოსულ საქმეთა რაოდენობა გაიზარდა 13,5%-ით.

2017 წელს სულ განხილულია 3339 საჩივარი და განცხადება, მათ შორის 913 – სისხლის სამართლის საქმეზე (სულ განხილული საქმეების 27,3%), 1534 – სამოქალაქო საქმეზე (45,9%), 892 ადმინისტრაციულ საქმეზე (26,7%).

2016 წელთან შედარებით სულ განხილული საქმეების რაოდენობა შემცირდა 2,8%-ით.

სისხლის სამართლის საქმეთა პალატა

2017 წელს, 2016 წელთან შედარებით საკასაციო ინსტანციაში შემოსული საკასაციო და კერძო საჩივრების რაოდენობა შემცირდა 3,0%-ით, ხოლო განხილული საჩივრების რაოდენობა - 2,9%-ით.

წლის ბოლოს განუხილველად დარჩენილი საქმეების ხვედრითი წილი დარჩა თითქმის 2016 წლის დონეზე და შეადგინა 29,2%.

2017 წელს სულ განხილულია 712 საკასაციო საჩივარი (5,9%-ით ნაკლები, ვიდრე 2016 წელს) 869 პირის მიმართ (8,9%-ით ნაკლები). უცვლელად დატოვებული განაჩენების (განჩინებების) ხვედრითი წილი დარჩა 2016 წლის დონეზე და შეადგინა 92%.

სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატა

2017 წელს, 2016 წელთან შედარებით საკასაციო ინსტანციაში შემოსული საკასაციო და კერძო საჩივრების რაოდენობა გაიზარდა 26,4%-ით, ხოლო განხილული საჩივრების რაოდენობა -24,3%-ით.

წლის ბოლოს განუხილველად დარჩენილი საქმეების ხვედრითი წილი 2016 წლის 26,5%-დან შემცირდა 2017 წლის 22,7%-მდე.

საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა საკასაციო საჩივრით შემოსული 1020 საქმე, რომელთაგან გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 872 საქმეზე და გაუქმდა 148 საქმეზე. უცვლელად დატოვებული გადაწყვეტილებების (განჩინებების) ხვედრითი წილი 2016 წლის 82,9%-დან გაიზარდა 2017 წლის 85,5%-მდე.

ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა პალატა

2017 წელს საკასაციო ინსტანციაში შემოსული საკასაციო და კერძო საჩივრების რაოდენობა 2016 წელთან შედარებით გაიზარდა 28,6%-ით, ხოლო განხილული საჩივრების რაოდენობა - 11,0%-ით.

წლის ბოლოს განუხილველად დარჩენილი საქმეების ხვედრითი წილი 2016 წლის 33,1%-დან გაიზარდა 2017 წლის 41,2%-მდე.

საანგარიშო პერიოდში განხილულია საკასაციო საჩივრით შემოსული 794 საქმე; რომელთაგან გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა 738 საქმეზე, გაუქმდა 56 საქმეზე. უცვლელად დატოვებულ გადაწყვეტილებათა ხვედრითი წილი დარჩა 2016 წლის დონეზე და შეადგინა 92,9%.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2017 წელს საკასაციო საჩივრით განიხილა 794 ადმინისტრაციული საქმე, აქედან ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლოდ დამთავრდა 240 საქმე, ანუ 30,2%, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ კი – 531 საქმე, ანუ 66,9%. საგადასახადო დავებზე განხილული იყო 85 საკასაციო საჩივარი, აქედან საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ გადაწყდა 25 საქმე, ანუ 29,4%, ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ კი – 59 საქმე, ანუ 69,4%.